სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

3 თებერვალი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა მასტერკლასი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
მონაწილეობდნენ მოსამზადებელი ჯგუფის III, IV კლასის მოსწავლეები

7 თებერვალი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ტრენინგი სუნთქვისა და გაწელვის ტექნიკაში.

7 თებერვალი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღონისძიება წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

მონაწილეობდნენ: სწავლების VI წლის მოსწავლეები.

27 თებერვალი 2025 წელი

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა, ტრადიციისამებრ, პატივი მიაგეს გამოჩენილი მოცეკვავის, ბალეტმაისტერისა და პედაგოგის - ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნას.

მონაწილეობდნენ სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

27 თებერვალი 2025 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი.

ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 115 წლის იუბილესთან დაკავშირებით სასწავლებლის მოსწავლეები ესტუმრნენ ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, სადაც გაეცნენ ისტორიული ფიგურის ცხოვრებისა და შემოქმედების ურთულეს გზას. თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი ამაყად ატარებს ვახტანგ ჭაბუკიანის უკვდავ სახელს.

მონაწილეობდნენ სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

5 მარტი 2025 წელი

სასწავლებელში გაიმართა შეხვედრა სახალხო არტისტის ლეო ფილფანის შვილისშვილთან, მსახიობ - ნინო ფილფანთან, პროექტის "გაიცანი წინაპარი- ს" ფარგლებში, სადაც მოსწავლეები გაეცნენ ლეო ფილფანის შემოქმედებას და განხილული იქნა მისი საიუბილეო წიგნი.

მონაწილეობდნენ სწავლების მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წლის მოსწავლეები.

7 მარტი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია-სემინარი, რომელიც მიეძღვნა დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს. განხილული იქნა თანამედროვე ქალის როლი თანამედროვე ხელოვნებაში. მონაწილეობდნენ სწავლების მეექვსე წლის მოსწავლეები.

1, 2, 8, 9 მარტი 2025 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბალეტი "ოტელო".

მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სწავლების მე- 7, 8 წლის მოსწავლეები.

14, 15, 16 მარტი 2025 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბალეტი "ლაურენსია". მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სწავლების 1, 6, 7, 8 წლის მოსწავლეები.

21,22,23 მარტი 2025 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბალეტი "ჟიზელი".

მონაწილეობდნენ: სასწავლებლის სწავლების 4, 7 წლის მოსწავლეები.

3 აპრილი 2025 წელი

იაპონიის საელჩომ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის თანაორგანიზებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა კიოგენის დემონსტრაცია-მასტერკლასი. სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ბალეტის ანსამბლი და თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები. ღონისძიება ტარდებოდა „იაპონიის კვირეული საქართველოში 2025-ის“ ფარგლებში. ამჟამად სტოკჰოლმში მოღვაწე მსახიობმა, ქალბატონმა კომაკი იუმ, ბალეტის მოცეკვავეებს და სასწავლებლის მოსწავლეებს ერთ-ერთია იაპონური ტრადიციული ხელოვნება, კიოგენი წარუდგინა. ღონისძიებას ესწრებოდა იაპონიის ელჩი საქართველოში და ქალბატონი ნინო ანანიაშვილი.

5 აპრილი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი სახასიათო ცეკვაში. მონაწილეობდნენ: სწავლების მეხუთე წლის მოსწავლეები.

6 აპრილი 2025 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი.

ქართული კლასიკური ბალეტის ფუძემდებლის - ვ. ჭაბუკიანის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

მონაწილეობდნენ: სწავლების მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები.

17 აპრილი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში, რომელსაც ესწრებოდა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ქალბატონი ორსოლია იუდიტ საროსსი

25,26,27 აპრილი 2025 წელი

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ჯორჯ ბალანჩინის სპექტაკლები - "მოცარტიანა"

მონაწილეობდნენ: სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები.

30 აპრილი 2025 წელი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი სპექტაკლი ჟიზელი მონაწილეობდნენ: სწავლების მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე.

2, 3, 4 მაისი 2025 წელი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი - სპექტაკლი დონ-კიხოტი მონაწილეობდნენ: სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე წლის მოსწავლეები

19-20 მაისი 2025 წელი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელის გამოსაშვები საღამო, სამ მოქმედებად:

- პირველი მოქმედება წარმოდგენილი იყო საკონცერტო პროგრამის სახით;
- მეორე მოქმედებაზე შესრულდა - ნაწყვეტი ი. ბაიერის ბალეტიდან „თოჯინების ფერია“ სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქციით;
- მესამე მოქმედებაზე შესრულდა - ლ. მინკუსის „პახიტა'' სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქციით. გამოსაშვებ საღამოს ესწრებოდა საქართველოს კულტურის მინისტრი ქალბატონი თინათინ რუხაძე
  მონაწილეობდნენ: სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები და სწავლების -I, II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

23-27 ივნისი 2025 წელი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

მიუნხენის ბალეტის აკადემიის პროფესორმა კლასიკური ბალეტის მიმართულებით, ვაგანოვას მეთოდის სპეციალისტმა ქალბატონმა კაროლინა ლორკამ ჩაატარა მასტერკლასი კლასიკურ და თანამედროვე ცეკვებში სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.

27 ივნისი 2025 წელი



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

მარიინსკის თეატრის სოლისტმა, ჰამბურგის ბალეტის პრიმა ბალერინამ და ჰამბურგის ბალეტის სკოლის პედაგოგმა ქალბატონმა ანნა ურბანმა (პოლიკარპოვა) ჩაატარა კლასიკური და თანამედროვე (მოდერნ) ბალეტის შერწყმის გაკვეთილი სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.

30 ივნისი 2025 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა შეხვედრა ჩვენი სასწავლებლის წარმატებულ კურსდამთავრებულთან, ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის სოლისტ სალომე ლევერაშვილთან. მონაწილეობდნენ სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები.

20-21 სექტემბერი 2025 წელი

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 174-ე სეზონის გახსნა,
სპექტაკლი " დონ კიხოტი"
მონაწილეობდნენ:
სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე წლის მოსწავლეები.

30 ოქტომბერი - 2 ნოემბერი 2025 წელი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
პეტრე ჩაიკოვსკის სპექტაკლი - "მძინარე მზეთუნახავი"

მონაწილეობდნენ:
სსასწავლებლის სწავლების მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები.

3 ნოემბერი 2025 წელი

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა შეხვედრა ჩვენი სასწავლებლის წარმატებულ კურსდამთავრებულთან, საბალეტო დასის წამყვან სოლისტ - ნინო სამადაშვილთან. მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლის მოსწავლეები,

ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგ - კონცერტმაისტერები.

3 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებლის მეთოდისტის მიერ, პედაგოგებისთვის ჩატარდა მასტერ კლასი კლასიკურ ცეკვაში. მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების მეოთხე წლის მოსწავლეები.

6-7 დეკემბერი 2025 წელი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

ჯუზეპე ვერდის ოპერა "ტრავიატა".

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მერვე წლის მოსწავლეები.

9 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი, სადაც მოხდა საბალეტო ხელოვნები ოსტათა მიერ შესრულებული შედევრების განხილვა.

მონაწილეობდნენ:
სსასწავლებლის სწავლების პირველი წლის მოსწავლეები.

13 დეკემბერი 2025 წელი

საქართველოში 2025 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გახსნაში მონაწილეობა მიიღო ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ოცდაათმა მოსწავლემ.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე წლის მოსწავლეები.

19 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:

მოსამზადებელი ჯგუფის I-II კლასის მოსწავლეები.

20 დეკემბერი 2025 წელი

ბელარუსის რესპუბლიკის საელჩოში გაიმართა შეხვედრა ახალი წლისა და შობის დღესასწაულების აღსანიშნავად.

მონაწილეობდნენ:

სწავლების მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები

22 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდება ღია გაკვეთილი ისტორიულ ყოფით ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის III-IV კლასის მოსწავლეები.

22 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდება ღია გაკვეთილი კლასიკურ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის III-IV კლასის მოსწავლეები.

22 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულ ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის III-IV კლასის მოსწავლეები.

22 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდება ღია გაკვეთილი თანამედროვე და სახასიათო ცეკვაში.

მონაწილეობდნენ:
მოსამზადებელი ჯგუფის III-IV კლასის მოსწავლეები.

24 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებელში ჩატარდა სასწავლო პრაქტიკის ჩვენება, სადაც მონაწილეობდა სწავლების ყველა წლის მოსწავლე.

19, 20,21, 26, 27 და 28 დეკემბერი 2025 წელი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრი. წარმოდგენილი იყო კამილ სენ- სანსის ოპერა - „სამსონი და დალილა ’’

მონაწილეობდნენ : სწავლების მეხუთე და მერვე წლის მოსწავლეები.

29 დეკემბერი 2025 წელი

სასწავლებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ჩაატარა სემინარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ, განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვა; ვიდეომონიტორინგით მიღებული მონაცემების დაცვა; არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა; პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის პედაგოგები, კონცერტმაისტერები და ადმინისტრაციის წევრები.